

14 ივლისი 2011

ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის”

ადმინისტრაციული საბჭოს

სხდომის ოქმი

14 ივლისი, 2011წ.

ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” მისამართი:

ქ.თბილისი, ბარნოვის ქ №75

სხდომის დაწყების დრო 20:00

სხდომაზე დამსწრე ადმინისტრაციული საბჭოს წევრები: ზაზა ხატიაშვილი (თავმჯდომარე), იმედა დვალიძე, ცისმარი ონიანი, ნოდარ ფეიქრიშვილი, ზვიად კორძაძე, გოჩა სვანიძე, ქეთევან ბექაური, იოსებ ბარათაშვილი.

დღის წერივი:

1. ეთიკის კომისიის 2011 წლის 18 მაისის გადაწყვეტილების 1 და 2 პუნქტების დამტკიცება;
 - ა. (ეთიკის კომისიის იურისტი ნინო ცუხიშვილი გაემგზავრება საზღვარგარეთ სასწავლებლად 2011 წლის 1 ივნისიდან 2012 წლის 31 ივნისის ჩათვლით. განცხადებაში იგი ითხოვს დაბრუნების შემდეგ, 2012 წლის 1 ივლისიდან ეთიკის კომისიაში იგივე თანამდებობაზე საქმიანობის გაგრძელებას).
 - ბ. ეთიკის კომისიის იურისტის ვაკანტურ თანამდებობაზე 2010 წლის 1 ივნისიდან 2012 წლის 1 ივლისამდე იურისტის აყვანის თაობაზე.
2. სარევიზიო კომისიის მოთხოვნით სარევიზიო კომისიის კოორდინატორის შტატის დაშვება სახელფასო განაკვეთით 800 ლარის ოდენობით;
3. ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანება;
4. 2011 წლის ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირების შედეგების დამტკიცება;
5. პლასტიკური ბარათების შეცვლის (ბარათის დაკარგვის, სპეციალიზაციის შეცვლის შემთხვევაში) წესის შემოღების შესახებ მსჯელობა;
6. მსჯელობა “ადვოკატთა შესახებ” კანონში შესატანი ცვლილებების პროექტის შესახებ (ინიცირებული პარლამენტის წევრების ზ.კუკავას, კ. ანჯაფარიძის მიერ);
7. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ცნობად მიღება და აღსრულება ადვოკატ დავით ჯინჭარაძის მიმართ 18 თვით საქმიანობის ჩამორთმევის შესახებ;

8. მსჯელობა სესხის აღების მიზანშეწონილობის შესახებ;
9. საწევრო დავალიანების მქონე ადვოკატთა (ასოციაციის წევრთა) გამოვლენისა და უფლებამოსილების შეწყვეტის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.
10. ზვიად კორძაძის ინიციატივით ქურნალ “ადვოკატის” სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობაში ვაშინგტონის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის პროფესორის ჯეიმს მოლიტერნოს კანდიდატურის დამტკიცების შესახებ.

გ ა დ ა წ ე დ ა :

1. სარევიზიო კომისიის წევრთა მიერ აპარატის მეშვეობით წერილობით გამოთხოვილი ყველა საჭირო ინფორმაციით უზრუნველყოფის კონტროლი დაევალოს ასოციაციის აღმასრულებელ მდივანს;
2. საქართველოს კანონის “ადვოკატთა შესახებ” მე-10 მუხლის შესაბამისად, დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე წარმოდგენილი ყველა გასაწევრიანებელ პირთა განცხადება თანდართული საბუთებით; ასევე დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე წარდგენილი იმ უფლებამოსილებაშეწყვეტილ პირთა განცხადებები ხელახალი გაწევრიანებისთვის, რომლებიც შეესაბამებიან საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ” მე-10 მუხლის, 1 პუნქტის მოთხოვნას გაწევრიანებაზე;

ა). საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ, მე-10 მუხლის, 1 პუნქტის “გ” ქვეპუნქტის (აქვს იურისტად ან ადვოკატის სტატუსორად მუშაობის არანაკლებ 1 წლის) თანახმად, არ დაკმაყოფილდეს **სოფიკო ალექსიძის** განცხადება ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე;

ბ) გაეგზავნოს წერილი შესაბამის დაწესებულებას **მერაბ ბერიძესა და მამუკა ბერიძის** შრომით გამოცდილებასთან დაკავშირებით;

3. დატკიცდეს 2011 წლის საგაზაფხულო ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირების შედეგები სხდომაზე წარმოდგენილი სახით;

4. დამტკიცდეს პლასტიკური ბარათების შეცვლის წესი (ბარათის დაკარგვა/დაზიანების, სპეციალიზაციის შეცვლის შემთხვევაში) სხდომაზე წარმოდგენილი სახით;

5. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდების, მე-15 მუხლის, 15.1 პუნქტის, “დ” ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატ **დავით ჯინჭარაძის** მიმართ 18 თვით საქმიანობის ჩამორთმევის თაობაზე ცნობად მიღების და აღსრულების შესახებ; აღნიშნულ პირს გაეგზავნოს წერილი.

6. 2011 წლის 29 ივლისს დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება საწევრო დავალიანების მქონე ადვოკატთა (ასოციაციის წევრთა) გამოვლენისა და უფლებამოსილების შეწყვეტის მიზნით.

საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად:

ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელშიც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება – ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია”, მისამართი: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქუჩა 34-36 ტელ: 790 22-46-54.

ა). ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღია 2011 წლის 29 ივლისი;

ადმინისტრაციული წარმოების ვადად განისაზღვროს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 100-ე მუხლის 3 პუნქტის შესაბამისად 75(სამოცდათხუთმეტი დღე);

ბ). ადმინისტრაციული წარმოების საგანი - საწევრო გადაუხდელ ადვოკატთა უფლებამოსილების შეწყვეტა; /"ადვოკატთა შესახებ" კანონის 21³ მუხლის 1 პუნქტის "ზ"- ქვეპუნქტი/;

გ). წარმოებაში მონაწილე ასოციაციის წევრთა სია, რომელთაც ერიცხებათ საწევრო დავალიანება, გამოქვეყნდება ადვოკატთა ასოციაციის ვებ- გვერდზე - www.gba.ge, გაზეთში "24 საათი"; საწევრო დავალიანების მქონე ადვოკატებს გაეგზავნოთ ესემეს შეტყობინებები მათ მიერ ასოციაციაში წარმოდგენილ სატელეფონო ნომრებზე, ასევე, ადვოკატებს მიეცეთ შესაძლებლობა გაეცნონ საწევრო დავალიანების სიას ადვოკატთა ასოციაციის ოფისში.

დ). საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 116-ე მუხლის, მე-2 პუნქტის, "დ" – ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 118-ე მუხლის, 1 პუნქტის შესაბამისად, დაინტერესებულ პირთა საკუთარი მოსაზრების წარდგენის ბოლო ვადა მთავრდება 2011 წლის 25 აგვისტოს.

ე). ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის, მე-3 პუნქტის შესაბამისად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადად განისაზღვროს 2011 წლის 11 ოქტომბერი .

ვ). ს.ს.ი.პ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრი ადვოკატების მიმართ საწევრო შენატანის გადაუხდელობის გამო, მათი წევრობის შეწყვეტის მიზნით დაზუსტდეს საწევრო დავალიანების მქონე პირთა სიები 2011 წლის 29 ივლისამდე.

7. დამტკიცებულ იქნას ვაშინგტონის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის პროფესორის ჯეიმს მოლიტერნოს კანდიდატურა ჟურნალ **"ადვოკატი"**, სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობაში. აღნიშნულის თაობაზე ბ-ნ ჯეიმს მოლიტერნოს გაეგზავნოს წერილი.

8. სესხის აღების მიზანშეწონილობის შესახებ საკითხის განხილვა გადაიდო საბჭოს შემდგომი სხდომისთვის, საწევრო დავალიანების მქონე ასოციაციის წევრთა გამოვლენისა და უფლებამოსილების შეწყვეტის მიზნით, 2011 წლის 29 ივლისს დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებამდე.

ზაზა ხატიაშვილი

საქართველოს ადვოკატთა

ასოციაციის თავმჯდომარე